

## ძვირფასო თანამემამულენო!

უკიდურესად შეშფოთებულები ვართ ტელეკომპანია “რუსთავი 2”-ის უზნეო, საზოგადოების, განსაკუთრებით მოზარდი თაობის განმრყენელი გადაცემებით, რომელთა შორის გამოირჩევა “ჯეობარი”. გადაჭარბების გარეშე ვამბობთ, რომ ქართველი ერი ყოფნა-არყოფნის წინაშე დგას. განხორციელებულ თუ მიმდინარე ფიზიკურ გენოციდს სულიერი გენოციდის პროგრამა დაემატა. საზოგადოების, განსაკუთრებით კი მოზარდი თაობის სულიერი გახრწნისა და გადაგვარებისათვის იღწვიან კარგად დაფინანსებული ორგანიზაციები. ტელეკომპანია “რუსთავი 2” მათ ავანგარდში დგას. იგი გარყვნილების, ძალადობის, სიძვა-მრუშობის, ჰომოსექსუალიზმის, ნარკოტიკების მოხმარების, საღიზმისა და ყოველგვარი უზნეობის ტრიბუნად იქცა, მან თავი ქვეყანაში ანტიმართლმადიდებლური ცნობიერებისა და ანტიეროვნული ღირებულებების დამკვიდრებით გამოიჩინა. მის მიერ ქადაგებული ნახევარსიმართლე ხშირად სიცრუისა და ბოროტების სამსახურში დგას.

ტელეკომპანიის მრავალი გადაცემა, ფილმი თუ კლიპი სწორედ ამ მიზანს ემსახურება. რაც შეეხება ”ჯეობარს”, თავის სარეკლამო კლიპებთან ერთად, იგი არა მხოლოდ მოზარდებზე ახდენს მავნე და დამანგრეველ ზემოქმედებას, არამედ მიუღებელი და შეურაცხმყოფელია ნებისმიერი ნორმალური ადამიანისათვის. ამის მოთმენა შეუძლებელია. ღმერთი ყველას მოგვკითხავს იმის გამო, რომ ვეგუებით და ვიწყნარებთ უზნეობისა და უხამსობის ნიაღვარს, ხმას არ ვიღებთ, როდესაც ჩვენს შვილებს - საქართველოს მომავალს, - რყვნიან, აკარგვინებენ ზნეობას, რჯულსა და ეროვნულობას.

ამიტომ, ყველამ ერთად უნდა მოვთხოვოთ “რუსთავი 2”-ს, შეწყვიტოს “ჯეობარისა” და სხვა უმსგავსი გადაცემების ჩვენება, მოვთხოვოთ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიას, მკაცრი ზომები გაატაროს კანონის დამრღვევი ტელევიზიის მიმართ. ბოლოს და ბოლოს ქართველი ხალხი უნდა მიხვდეს, რომ იგია ამ ქვეყნის პატრონი, მას აქვს როგორც უფლებები, ასევე შესაბამისი მოვალეობებიც, რომელთაგან უმთავრესი სწორედ ერის ზნეობის დაცვაა.

შემოგვიერთდით. ჩვენი პროტესტი და ლოცვითი დგომა “რუსთავი 2”-ის ოფისის წინ 3 დღეს – 21-დან 23 ნოემბერამდე, დილის 11 სთ-დან დაღამებამდე - გასტანს, იქნება ყოველდღიური ბრიფინგი 15 სთ-ზე. თქვენი ფიზიკური თუ ლოცვითი თანადგომა მნიშვნელოვანია. ეკლესია წინასწარმეტყველ ზირაქის პირით გვასწავლის: *“სიკვდილამდე იღვაწე სიმართლისათვის და უფალი ღმერთი იბრძოლებს შენთვის!*

მართლმადიდებელ მშობელთა კავშირი

## ლოზუნგები:

“რუსთავი 2” საქართველოს სირცხვილია!

“რუსთავი 2” - კმარა!

მოვითხოვთ ხელისუფლებისაგან უზნეობის აღკვეთას!

ჯეობარი ადამიანის შეურაცხყოფაა!

“რუსთავი 2” გარყვნილების ტელევიზიაა!

